NEWS FROM THE KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS (2021-2022)

სიახლეები კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

ქრონიკა - 2021-2022 წწ.

In 2021-2022, both transitional/long and year-long research projects in fundamental and applied sciences of manuscript studies were conducted and a number of museum and educational projects were implemented at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, as the very important international scientific institution for Georgian studies.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 2021-2022 წლებში მიმდინარეობდა მუშაობა როგორც გარდამავალი/მრავალწლიან, ასევე ერთწლიანი სამეცნიერო კვლევითი პროექტები ხელნაწერთა შემსწავლელ ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო მიმართულებებში; აქვე განხორციელდა არაერთი სამუზეუმო-საგანმანათლებლო პროექტი.

1. ქართველოლოგია, აღმოსავლეთმცოდნეობა, არმენოლოგია - კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური წყაროთმცოდნეობითი კვლევები: ტექსტოლოგიურ-კოდიკოლოგიური კვლევები მიზნად ისახავს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების ტექსტების კვლევას, რედაქციულ ანალიზს, ტექსტების გადმოწერას, კრიტიკული ტექსტის დადგენას და მეცნიერთათვის მათ ხელმისაწვდომლობას, ასევე, საცნობარო და აღწერილობითი კატალოგების მომზადებას. 2021-2022 წლებში მიმდინარეობდა სამეცნიერო სამუშაოები შემდეგ თემებზე: ოსმალო ფადიშაჰების საქართველოში დაცული სიგელები; ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სომხური ხელნაწერების აღწერილობა; მატენადარანში დაცული ქართული ხელნაწერებისა და ფრაგმენტების აღწერილობა; ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სომხური და აღმოსავლური ხელნაწერების ალბომი; „წიგნი სიმამაცისა“ („Ṣecâ'at-nâme“) ოსმალეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ (XVI სკ.); სასულიერო მწერლობის ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული ძეგლის - სტეფანე მანსურისძე დამასკელის „ოცი საბაწმიდელი ბერის წამების“ ქართული კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადება; მიქაელ მოდრეკილის იადგარი (X ს.) ტექსტის და გამოკვლევის გამოსაცემად მომზადება; ივირონის მონასტერში დაცული ქართული ხელნაწერების

ყდები (ანოტირებული კატალოგის შედგენა); ნოემბრის და დეკემბრის კიმენური ჰაგიოგრაფიული ტექსტები; თეოდორე სალოსის ცხოვრება (ვრცელი რედაქციის კრიტიკული ტექსტის დადგენა და გამოკვლევა); იანვრის თვის მეტაფრასული ტექსტების გამოსაცემად მომზადება; წმ. დიმიტრი თესალონიკელის კულტი ძველ ქართულ მწერლობაში; წმინდანთა ხსენებების ქართული კალენდრების კვლევა; ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში (ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი); H ფონდის ხელნაწერების კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული აღწერილობა; შუა საუკუნეების ქართული მწიგნობრობა ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში: ქართველები და „სხვები“; არისტოტელეს „პერი ერმენეიას“ კომენტარების ანონიმისეული თარგმანის ძირითადი ტექსტის შედარება დანარჩენ ხელნაწერებთან; არსენ იყალთოელის მიერ ნათარგმნი იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ კრიტიკული ტექსტის დადგენა; ქალი წმინდანები ქართულ ხელნაწერებში; სამკურნალო შინაარსის შემცველი ტექსტები უძველეს „კურთხევანებში“; ექვთიმე მთაწმინდელის რედაქციის სახარების შესახებ; აპოკრიფული მწერლობა (IX-XI სს-თა ქართული ხელნაწერი ტრადიციის მიხედვით) (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი); იოსებ არიმათიელის ავტორობით ცნობილი ლუდიის ეკლესიის დაარსებისა და იოანეს აქტების ქართულ თარგმანთა ტექსტების გამოსაცემად მომზადება; ჯელალ ედ-დინ რუმის „მესნევის“ ხელნაწერები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებიდან; წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიგებანი მამა თალასეს კითხვებზე (გელათური თარგმანის ტექსტოლოგიური კვლევა); წმ. ბასილი კესარიელის სახელით წარწერილი „სწავლანი ლოცვისათვის“; გალობანი წართულნი; ნოვგოროდის მუზეუმის ქართული ენკოლპიონი; ეფრემ ასურის სწავლანი (მე-2 ტომი); კოდიკოლოგიურ-არქეოგრაფიული ძიებანი სოლომონ დოდაშვილის წერილობითი მემკვიდრეობის მიხედვით;

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართულ ხელნაწერთა მონაცემების დაზუსტება და განთავსება

საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების მონაცემთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში; რუსუდან გვარამიას შრომათა კრებულის გამოსაცემად მომზადება; გელათის სამონასტრო ცენტრის ხელნაწერები; ასკეტურ ხელნაწერ კრებულში – A-1101 (1047 წ.) – დაცული ტექსტების შესწავლა-იდენტიფიკაცია; ექვთიმე ათონელის „წინამძღვარში“ დაცული ანათემები და მათი კვალი „თეოდორე ედესელის ცხოვრებაში“; საბაწმინდული წარმომავლობის ქართული ხელნაწერები (დარგობრივი და რედაქციული თავისებურებანი); ანტონ კათალიკოსი „მზამეტყველება“ - კრიტიკული, აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადება; წმინდა სუქიასა

და მასთან ერთად წამებულ მესუკეველთა წარმომავლობის საკითხი; მცირე წინასწარმეტყველთა საკითხავები ლიტურგიკულ კრებულებში; ბიბლიის ფაუნა (ლექსიკონი); პირად არქივების ავტოადრესატული ტექსტების ტექსტოლოგიური და კონტენტური კვლევა.

წყაროთმცოდნეობითი კვლევები - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ისტორიული დოკუმენტების კორპუსის გამოსაცემად მომზადება, ტექსტების წყაროთმცოდნეობითი კვლევა. 2021-2022 წლებში მიმდინარეობდა სამეცნიერო სამუშაოები შემდეგ თემებზე: ტიმოთე გაბაშვლის ნაშრომი „აგარიანთათვის“, როგორც ისლამმცოდნეობითი წყარო“ (XVIII ს.); ეპიგრაფიკული იურიდიული აქტების კორპუსის შედგენა და გამოსაცემად მომზადება; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. სამხრეთ საქართველოს ხელნაწერების მინაწერი საბუთები. XI-XVI სს.; მიწისძვრები ძველ საქართველოში (IV-XVIII სს.); დაუმუშავებელი ისტორიული დოკუმენტების კატალოგიზაცია და ელექტრონული ვერსიის მომზადება (Qd ფონდი); ჭართლის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აღსარების მთქმელთა დავთრის (1831-1856 წწ., Qd-10483) ელექტრონული ვერსიის მომზადება; ჩაჩიკაშვილების მწიგნობართა საგვარეულო და მათი ხელნაწერი მემკვიდრეობა (XVII-XIX სს-ის ხელნაწერი წიგნების, საისტორიო საბუთებისა და სხვა წერილობითი ძეგლების მიხედვით); XI-XII საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა და ბიზანტიური ისტორიოგრაფია; დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორია XVII- XVIII საუკუნეებში; ატენის (ტანას) ხეობის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი შესწავლა და მისი მფლობელობის საკითხი (V-XIX სს.); ხელნაწერთა მინაწერების კორპუსი; მინაწერი საბუთების კორპუსი (აღმოსავლეთ საქართველო); თოღა - ბაგრატიონთა რეზიდენცია; ივ. ჯავახიშილის რედაქტორობით გამოცემული 1923 წლის საქართველოს ისტორიული რუკის საძიებლის გამოსაცემად მომზადება; თ. ჟორდანიას “უბის წიგნაკების“ შესწავლა დაარსებული მასალის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი; დედათა მონასტრები შუა საუკუნეების საქართველოში.

ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევები - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერი წიგნების მინიატიურათა სამეცნიერო შესწავლა, წიგნის ხელოვნებასთან დაკავშირებული საკითხების სამეცნიერო კვლევა, ხელოვნებათმცოდნეობითი საცნობარო კატალოგების მომზადება. 2021-2022 წლებში მიმდინარეობდა სამეცნიერო სამუშაოები შემდეგ თემებზე: პერსონალია და პოლიტიკური ანარეკლები ქართული ისტორიული საბუთების მხატვრობაში; ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული X-XVI საუკუნეების მოხატული ხელნაწერების საძიებელი; XVI-XIX საუკკუნეების ქართული დასურათებული ხელნაწერების კორპუსი; ქართული ფსალმუნების ილუსტრაციები და XIV-XV საუკუნეების ბერ-

ძნული წიგნის მხატვრობა; დამკვეთის როლი ისლამური ხელოვნების ელემენტების შემცველ საეკლესიო ხელნაწერთა მხატვრული გაფორმების გადაწყვეტაში (XV-XVIII სს.).

საარქივო, საფონდო, სამუზეუმო და საბიბლიოთეკო საქმისწარმოება; სამეცნიერო ანალიტიკა; სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტერატურის დამუშავება - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დაუმუშავებელი არქივების დამუშავება, ძველი სტანდარტების მიხედვით დამუშავებული არქივების თანამედროვე სტანდარტების მიხედვით გადამუშავება, ახალ საფონდო შემოსულობათა აღრიცხვა-კლასიფიკაცია, ფონდების სისტემატიზაცია-კატალოგიზაცია, ფონდების შევსება, სხვადასვა ტიპის კატალოგების მომზადება, მკითხველთა მომსახურება, სამეცნიერო ბიბლიოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და საცნობარო ლიტერატურის დამუშავება. სამეცნიერო-ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება, სამკითხველო დარბაზის მომსახურება, მკითხველთა აღრიცხვა. 2021-2022 წლების მაჩვენებლებია:

კონსერვაცია-რესტავრაცია, დიგიტალიზაცია - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების, საარქივო მასალის, ისტორიული საბუთების, საბიბლიოთეკო წიგნების დაცვის მიზნით მათი დიგიტალური ვერსიების დამზადება, ასევე, მათი დაცვის და შენახვის მიზნით საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება. ფონდების და ფონდსაცავების მონიტორინგი. 2021-2022 წლებში მიმდინარეობდა სამეცნიერო სამუშაოები შემდეგ თემებზე: ტერმინოლოგიური ლექსიკონი (კონსერვაციისა და რესტავრაციის ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი); წერილობითი მემკვიდრეობისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშების კონსერვაცია-რესტავრაციის ძველი და თანამედროვე მეთოდოლოგია (მეთოდური სახელმძღვანელო, ნაწილი II); ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კოლექციებიდან რესტავრირებული ერთეულების პასპორტებისა და ფოტოების ელოქტრონული ბაზა; ეტრატის თავისებურებები და მახასიათებლები; დაზიანებულ ქართულ მე-17 საუკუნის ხელნაწერებზე მელნის სტუქტურის შესწავლა - კვლევის თანამედროვე AFM,EDS, SEM მეთოდები.

სამეცნიერო კონფერენციები. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შედეგების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა, საკვანძო პრობლემურ საკითხებზე ფართო სამეცნიერო დის- კუსიების ორგანიზება, უცხოელ მეცნიერებთან საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე კონტაქტების დამყარება და სამეცნიერო ერთობლივი პროექტების განხორციელება, გამოცდილების გაზიარება.

• 2021 წლის 20-21 მაისს კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია:

„შუა საუკუნეების ხელნაწერი: გადამწერები, რედაქტორები, მომგებლები, შემმოსველები“.

• 2021 წლის 24-25 ივნისს გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე: საქართველო და საერთაშორისო გამოცდილება“. კონფერენციის

ორგანიზატორები იყვნენ: გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი; კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. პარტნიორები: ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

• 2021 წლის 27-28 დეკემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა მისი დამაარსებლისა და პირველი დირექტორის - ილია აბულაძის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

• 2022 წლის 15 დეკემბერი - ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა ცნობილი ქართველი მეცნიერების - მანანა დოლაქიძის, ლილი ხევსურიანისა და ლალი ჯღამაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

ცენტრის გამოცემები:

• დავით ჯავახიშვილი, ბაგრატიონთა კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარება (XV-XXI საუკუნეები), თბ., 2020 (გამოიცა 2021 წ.);

• ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I და II ტომი (სერია ბიბლიოგრაფიული იშვიათობა), I და II ტომი, თბ., 2020 (გამოიცა 2021 წ.);

• ელენე ცაგარეიშვილი (სერია „სამეცნიერო მემკვიდრეობა“, I), თბ., 2020 (გამოიცა 2021 წ.);

• ჯულიეტა რუხაძის ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბ., 2020 (გამოიცა 2021 წ.);

• ელენე მაჭავარიანი, ქართული ანბანი ბავშვებისათვის, თბ., 2020 (გამოიცა 2021 წ.);

• ვახუშტი ბაგრატიონი, ატლასი (მსოფლიოს გეოგრაფია), 1752, თბ., 2021;

• საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (ენციკლოპედია), II, თბ., 2021;

• გრიგოლ წერეთელი – არისტოფანეს „ფრინველების“ მთარგმნელი (არისტოფანეს „ფრინველების“ გრიგოლ წერეთლისეული თარგმანი), თბ., 2021;

• ბაღვაში, სამეცნიერო კრებული, რედაქტორები: ზაზა აბაშიძე, ყარამან ფაღავა, თბ., 2021;

• კავკასია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის II (მიძღვნა ზაზა ალექსიძის დაბადების 85 წლისთავისადმი), რედაქტორი: დალი ჩიტუნაშვილი, თბ., 2021;

• ენრიკო გაბიძაშვილი – 90 (საიუბილეო კრებული), რედაქტორი: ნინო მელიქიშვილი, თბ., 2021.

• მაია რაფავა, ათონის ქართველთა მონასტერი, რედაქტორი: დალი ჩიტუნაშვილი, თბ., 2021;

• ექვთიმე მთაწმიდელი, მცირე სვინაქსარი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და სამეცნიერო აპარატი დაურთო დალი ჩიტუნაშვილმა, თბ.,

2021;

• აკაკი შანიძე, მოგონებები, დღიურები, სხვადასხვა (სერია „ბიბლიოგრაფიული იშვიათობა“, ტ. V), თბ., 2021;

• საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ქართული ხელნაწერი“ (სკოლის მასალების კრებული), თბ., 2021.

• „ვეფხისტყაოსანი“ (აფხაზურენოვანი გამოცემა), თბ., 2021.

•ვახუშტიბაგრატიონი,მსოფლიოსგეოგრაფია(ატლასი)(განმეორებითი გამოცემა), თბ., 2022.

• ნინო ქავთარია, ქეთევან ტატიშვილი, ეკა დუღაშვილი, ბიბლიური სიუჟეტები ქართულ ხელნაწერთა გაფორმებაში: ლიტერატურული და იკონოგრაფიული წყაროები (განმეორებითი გამოცემა), თბ., 2022.

• სერგი გორგაძე, თხზულებანი, ტ. II, ზაზა აბაშიძის რედაქციით, თბ., 2022.

• გიორგი მთაწმიდელი, დიდი სვინაქსარი (განმეორებითი გამოცემა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა, თბ., 2022.

• ვაჟა-ფშაველას პირადი არქივის აღწერილობა (სერია „პირადი არქივების აღწერილობა“, ტ. 6), არქივი გადაამუშავა და გამოსაცემად მოამზადა ეთერ ქავთარაძემ, თბ., 2022.

• გიორგი კალანდაძე, გაბრიელ მცირის მიერ შედგენილი კრებული „გვირგვინი“, თბ., 2021.

• „მრავალთავი“, 27, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, თბ., 2021 (გამოიცა 2022 წ.);

• ჯაბა სამუშია, საისტორიო ძიებანი, თბ., 2022.

• ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, ტ. XII, რედაქტორი: ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, თბ., 2020 (გამოიცა 2022 წ.);

• ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, ტ. XIII, რედაქტორი: ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, თბ., 2020 (გამოიცა 2022 წ.);

ელექტრონული გამოცემები:

•ცალკე აღსანიშნავია:

• ათონის ივირონის მონასტერმა ინგლისურ ენაზე გამოსცა ივირონში დაცულ ქართულ ხელნაწერთა კატალოგი. გამოცემის რედაქტორები არიან იოსტგიპერტი,ბერნარუტიედასერგეიკიმი.კატალოგისდააღწერილობების შემდგენლები ძირითადად არიან კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები.

• გერმანიაში, გამომცემლობა Aschendorff Verlag-მა სერიით Jerusalemer Theologisches Forum (ტ. 42) გამოაქვეყნა ქართველ მეცნიერთა ნაშრომი „შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურული კულტურა და ხელნაწერი წიგნი ქრისტიანულ შუა აღმოსავლეთსა და ბიზანტიაში“.

• გამოიცა ცენტრის საერთაშორისო საგაზაფხულო სკოლის „აფხაზეთი: შუა საუკუნეებიდან დღემდე (კულტუროლოგიურ-ისტორიული ასპექტები)” მასალების კრებული და ბროშურა.

საგრანტო პროექტები:

2021-2022 წლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბაზაზე ხორციელდებოდა რამდენიმე საგრანტო პროექტი: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ხორციელდება

„CNRS "Mondes Iranian et Indian", Institute l'orientale C. A. Nallino"-ის (რომი, იტალია), „Foundation Max van Berchem"-ის (ჟენევა, შვეიცარია) საგამომცემლო პროექტი: „კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში დაცული სპარსული ხელნაწერების კატალოგი" /„Catalogue of the Persian manuscripts from the Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts"; ასევე, „Friends of Academic Research in Georgia"-ის (დიდი ბრიტანეთი) პროექტი - „A history of the monasteries at Oshki, Khakhuli, Otkhta Eklesia and Parkhali".

მემორანდუმები:

2021-2022 წლებში ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: ფონდი „დიასპორების ალიანსი საქართველოსთვის"; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო; აფხაზეთის სულიერების ცენტრი; სომხეთის აღმოსავლურ კვლევათა ინსტიტუტი; ათონის მემკვიდრეობის საერთაშორისო ინსტიტუტი; სხვიტორში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი; წმ. კირილესა და მეთოდეს სახელობის ბულგარეთის ეროვნული ბიბლიოთეკა; სოფიის კლიმენტ ოხრიდელის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივან დუიჩევის სლავურ- ბიზანტიური კვლევების ცენტრი; ტერაბანკი.

დაიგეგმა თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის – აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული გამოცემა, რომელიც მეცნიერის საარქივო მასალის სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე მომზადდება. აღნიშნულთან დაკავშირებით თსუ-სა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის საფუძველზე შეიქმნა სარედაქციო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული კრებულის მომზადებასა და გამოცემას.